ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2017-56/3

ქ. თბილისი „29“ „ნოემბერი“ 2017 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, შემდგომში „შემსყიდველი“, მისი უფროსის გია თვალავაძის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს. “ტრადოსი” დირექტორის ხათუნა მღებრიშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში, თარგმნის მომსახურების შესყიდვაზე (კლასიფიკატორის კოდი 79530000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 161.27 (ას სამოცდაერთი ლარი და 27 თეთრი) ლარად (შემდგომში “ხელშეკრულების ფასი”).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 ინგლისურიდან – ქართულ ენაზე თარგმნა (ერთი გვერდი არაუმეტეს 1800 სიმბოლო) თარგმნის ღირებულება შეადგენს 16 (თექვსმეტი) ლარს.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება მიმწოდებლისათვის სათარგმნი მასალის მიწოდებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორების მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი №1) საფუძველზე.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 10 (ათი) დღით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების ცონტროლს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელებენ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი: სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის, ინსპექტირების სამმართველოს უფროსი ნანა შაშიაშვილი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. დასკვნითი პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (-- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2.ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ორი – "შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო
რეგულირების სააგენტო"
მის: წერეთლის გამზ. 144
სახელმწიფო ხაზინა ანგ №200122900
საინდეტიფიკაციო კოდი 205035120

ნია თავაძე
სააგენტოს უფროსი

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ტრადოსი"
ქ. თბილისი რუსთაველის გამზ. №36
ს.ს. "საქართველოს ბანკი"
კოდი №BAGAGE22
ანგ. №GE09BG 0000000 234722800
საინდ. კოდ. №204544029

ხათუნა მღებრიშვილი
დირექტორი

ვიზები:

ნ. შენგელიძე

ნ. შაშიაშვილი

რ. შონია

ა.ტყეშელაშვილი

დანართი #1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2017 წლის ასიგნების ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის
მიღება ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „___“ „_____“ 2017 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ **უფროსი გია თვალავაძე**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი:

_____
(ორგანიზაციის სახელი)

_____
(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

2017 წ „----“ „------“ № ---------- ხელშეკრულების პირობის შესაბამისად გაწეულია მომსახურება. (სათარჯიმნო მომსახურება)
(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

გაწეული მომსახურების ღირებულებამ

შეადგინა:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით გაწეულია:

ანაზღაურებულია:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო:
1. ხელმძღვანელი

მომსახურება ჩააბარა:
1. ხელმძღვანელი

დანართი N1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2017 წლის ასიგნების ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის
მიღება ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „1“ „დეკემბერი“ 2017 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს **სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ უფროსი გია თვალავაძე**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი: **შპს „ტრადოსი“**

(ორგანიზაციის სახელი)

დირექტორი ხათუნა მღებრიშვილი

(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

2017 წ „29“ „ნოემბრის“ № 2017-56/ბ ხელშეკრულების პირობის შესაბამისად გეწეულია მომსახურება : დოკუმენტაციის თარგმნის მომსახურების შესყიდვა.

(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: **161,27 (ას სამოცდაშვიდი ლარი და 27 თეთრი) ლარი**

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

გაწეული მომსახურების ღირებულებამ

შეადგინა:
161,27 (ას სამოცდაშვიდი ლარი და 27 თეთრი) ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით გაწეულია :

ანაზღაურებულია:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება ჩაიბარა:
1. ხელმძღვანელი

მომსახურება ჩააბარა:
1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესრულების შესახებ

ინსპექტირების აქტი

ქ. თბილისი „1“ „დეკემბერი“ 2017 წ.

სსიპ “სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსა“ და შპს „ტრადოს-ს“ შორის, **2017 წლის 29 ნოემბრის №2017-56/ბ** ხელშეკრულების შესაბამისად, „შემსყიდველმა“ განახორციელა ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება და დაადგინა, რომ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება (ხელშეკრულების ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის მომსახურება) სათანადოდ იქნა შესრულებული. ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს **161,27 (ას სამოცდა ერთი ლარი და 27 თეთრი) ლარს.**

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების

ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის

რეგისტრაციის სამმართველოს უფროსი: ნ. შენგელიძე